სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ სამეურვეო საბჭოს
გადაწყვეტილება # 626
(ოქმი # 536

თბილისი 2026 წლის 26 იანვარი

საერთაშორისოდ აღიარებული დამოუკიდებელი აუდიტორული ფირმის დანიშვნასთან დაკავშირებით სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ სამეურვეო საბჭოს 2025 წლის 23 დეკემბრის №619 გადაწყვეტილებით (ოქმი №535) გამოცხადებულ კონკურსში გამარჯვებულის გამოვლენის შესახებ

“მაუწყებლობის შესახებ” საქართველოს კანონის 34-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების თანახმად,

1. სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ და სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს“ 2025 წლის პერიოდის ფინანსური ანგარიშგების/კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტის, საგადასახადო აუდიტის და განხორციელებული შესყიდვების მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობის აუდიტის (გარე აუდიტი) ჩატარების გამო საერთაშორისოდ აღიარებული დამოუკიდებელი აუდიტორული ფირმის დანიშვნასთან დაკავშირებით გამოცხადებულ კონკურსში გამარჯვებულ კომპანიად გამოვლინდეს შპს „მოორ ეიბისი“, რომელსაც დაევალოს შესაბამისი დასკვნის წარმოდგენა არაუგვიანეს 2026 წლის 20 აპრილისა.
2. დაევალოთ სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ გენერალურ დირექტორს და სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს“ დირექტორს, წინამდებარე გადაწყვეტილების 1-ელ პუნქტში აღნიშნულ კომპანიასთან გააფორმონ შესაბამისი ხელშეკრულება.

სსიპ “საზოგადოებრივი მაუწყებლის“ სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარე:

ვასილ მაღლაფერიძე

სსიპ “საზოგადოებრივი მაუწყებლის“ სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე:

გრიგოლ მურღულია

სსიპ “საზოგადოებრივი მაუწყებლის“ სამეურვეო საბჭოს წევრები:

გიორგი კოხრეიძე		ზაზა აბაშიძე
თამილა დოლიძე	Tamila Dolidze 61001042033 Digitally signed by Tamila Dolidze Date: 2026.01.26 15:21:04	ლიკა ბასილაია-შავგულიძე
სოსო სტურუა	Soso Sturua 61002008062 Digitally signed by Soso Sturua Date: 2026.01.26 15:36:17	ბონდო მძინარაშვილი
გიორგი იაკობიშვილი		იზაბელა ოსიპოვა
		ლაშა ტუღუში